შემუშავებულია საგნობრივი
კათედრებისა და დირექტორის
მონაწილეობით.
განხილულია პედაგოგიური საბჭოს
მიერ
ოქმი №1, 2 სექტემბერი 2016 წელი
დამტკიცებულია სკოლის
დირექტორის მიერ

შპს. ,,მზეკაბანი–2007-ის“

სასკოლო სასწავლო გეგმა
2016-2017 სასწავლო წელი

ქ თერჯოლა, რუსთაველის ქ 82.

თავი 1.

სკოლის მისია

1.1 მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენისა და განვითარებისათვის უსაფრთხო და ეფექტური გარემოს შექმნა.

1.2 მოსწავლეებში ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ–ჩვევების ფორმირება.

1.3 ინდივიდუალურობის მქონე კონკურენტუნარიანი, კომუნიკაბელური, ეროვნულ ფასეულობებზე დაყრდნობილი პატრიოტი პიროვნების აღზრდა.

1.4 საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის მომზადებული თაობის აღზრდა.

თავი 2.

სწავლა - სწავლების ძირითადი პრინციპები

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს შპს ,,მზეკაბანი 2007-ის (შემდეგში სკოლის) მისიიდან, მასში მოცემულია მექანიზმები და სტრუქტურები, რომელიც ხელს უწყობს მისიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს შპს ,,მზეკაბანი 2007-ის“ ხედვას, პრობლემის გადაჭრის გზებს, ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლითაც შპს ,,მზეკაბანი 2007-ის ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში.

შპს. ,,მზეკაბანი–2007“ ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროგრამას სამ საფეხურზე

- დაწყებითი - I-VI კლასები.
- საბაზო - VII- IX კლასები.
- საშუალო – X – XII კლასები.

2.1 დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

2.2 სრული ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში.

თავი 3.

ზოგადი განათლების საფეხურების ამოცანები

3.1 შპს. ,,მზეკაბანი–2007“–ის დაწყებითისაფეხურის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად დასწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად;
ბ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი;
გ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ-ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.
3.2. პირველ კლასში:
ა) საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს განმავითარებელი, დიდაქტიკური თამაშები;
ბ) გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ, სასურველია დრო დაეთმოს ფიზიკურ აქტივობებს (3-5 წუთი);
გ) რეკომენდებულია გაკვეთილი მიმდინარეობდეს აქტიური და პასიური აქტივობების მონაცვლეობით (მაგ., საკითხავ დავალებას მოჰყვეს ხატვა ან როლური თამაში);
დ) შესაძლებლობის ფარგლებში, რეკომენდებულია, საკლასო გარემო დაიყოს რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან მინიმუმ ერთი დასვენებასა და თავისუფალ აქტივობას დაეთმობა.
3.3 საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:
ა) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
ბ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
გ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.
3.4. საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:
ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;
ბ) დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად);
გ) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.

თავი 4.
სასწავლო წლის კალენდარი

4.1სასწავლო წელი დაიწყება 2016 წლის 15 სექტემბერს და დამთავრდება 2017 წლის 15ივნისს.

4.2არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით და შპს ,,მზეკაბანი 2007-ის კალენდრით

იხილეთ 2016-2017 სასწავლო წლის კალენდარი.დანართი#1

4.3.

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს საშობაო არდადეგები
4.4. სასწავლო კვირა I-XII კლასებში შეადგენს 5 სასწავლო დღეს.
4.5. ამასთანავე ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია გაუთვალისწინებელი მიზეზებით სკოლის მიერ გაცდენილი სასწავლო დღის ან დღეების აღსადგენად.

4.6. სასწავლებელში სწავლა მიმდინარეობს ერთ ცვლაში და და მუშაობას იწყებს 9.30 წუთზე.
4.7. ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები, ტექპერსონალი და დამრიგებლები სკოლაში ცხადდებიან 9.15 წუთზე.

ყველა პედაგოგი ვალდებულია ზარის დარეკვისთანავე იმყოფებოდეს გაკვეთილების ცხრილით განსაზღვრულ საკლასო ოთახში.
4.8. სასწავლო მეცადინეობათა ყოველდღიური რაოდენობაა 5-6–7 გაკვეთილი (საფეხურის შესაბამისად).

4.9. გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენს 45 წუთს.გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილი მიმდინარეობს 35 წუთი. მათთვის შესვენებების ხანგრძლივობა – 15 წუთია.

4.10. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, ხოლო მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის -10 წუთი.

თავი 5.
დღის რეჟიმი

5.1. სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგი დღის რეჟიმით:

I–კლასი
1. 9.30-10.05
2. 10.15-10.50
3. 11.00-11.35
   11.50-12.00 ლანჩი
4. 12.00-12.35 (10)
5. 12.45-13.20
   13.20 – 13.35 სადილი

II–IV კლასი
1. 9.30-10.15
2. 10.20-11.05
3. 11.10-11.55
   11.55-12.10
   ლანჩი
4. 12.10-12.55

5.2. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის რეჟიმი
1. 13.35 – 17.00 მუშაობის პერიოდი(საშინაო დავალების მომზადება,სხვადასხვა აქტივობები)

5.3. V-XII კლასები
1. 9.30-10.15
2. 10.20-11.05
3. 11.10-11.55
4. 12.05-12.50
5. 12.55-13.40
6. 13.45-14.30
7. 14.45–15.20

5.4. 15.25 – 17.00 სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

5.5. ობიექტური მიზეზების გამო სკოლას შეუძლია კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

თავი 6.
მოსწავლეთა რაოდენობა

6.1. კლასის მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო და საბაზო საფეხურზე არ აღემატება 25-ს, ხოლო დაწყებით საფეხურზე 20–ს

6.2. XI –XII კლასები იყოფა ინგლისურ ენასა და მათემატიკაში.

თავი 7.
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული
დამატებითი საგანმანთლებლო მომსახურება

2016/17 სასწავლო წელს სკოლის მისიიდან გამომდინარე, მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გასავითარებლად და ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული პროგრამების უკეთ სწავლებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალა

7.1. სავალდებულო საათების რაოდენობას დაემატოს:
I კლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) 1 საათი .

II კლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 1 საათი .

Vკლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 1 საათი

VI კლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 1 საათი
VI Iკლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 1 საათი
IX კლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 2 საათი
XIკლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 1საათი
XIIკლასში პირველ უცხოურ ენას (ინგლისური ენა) დაემატება 2 საათი

თავი 8.
ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებული
დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

- გახანგრძლივებული სწავლება I-IV კლასებში -ყველა სასწავლო დღეს;
- ხალხური და საესტრადო სიმღერის წრე – კვირაში 2 საათი,

- ინტელექტკლუბები:
  - ✓ I-IV კლასების მოსწავლეთათვის კლუბი ,,რატომელა“ – თვეში 2 საათი.
  - ✓ V-VII კლასების მოსწავლეთათვის კლუბი ,,ერუდიტი“ – თვეში 2 საათი.
  - ✓ VIII-XII კლასების მოსწავლეთათვის კლუბი ,,ერისტიკა“ – თვეში 2 საათი.
- დებატ კლუბი – თვეში2 საათი
- XI I ფაკულტატურული მეცადინეობა (ინგლისური ენა)-2საათი.

სააბიტურიენტო მომზადება:

XII კლასი ქართული ენა და ლიტერატურა– კვირაში 2 საათი.

XII კლასი რუსული ენა – კვირაში 3 საათი.

XII კლასი ისტორია –კვირაში1 საათი.

XII კლასი გეოგრაფია –კვირაში 4 საათი.

XII კლასი ლოგიკა – კვირაში 2 საათი.

სააბიტურიენტო,სასწავლო და სააღმზრდელო მომსახურებას აქვს ფაკულტატურის სახე და მოსწავლეები თავად ირჩევენ მათთვის სასურველ საგანს,წრეს და კლუბს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას აფინანსებს სკოლა.

თავი 9.

მასწავლებელთა საათობრივი განაწილება

სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად განაწილებულია საათები მასწავლებლებზე საგნებისა და კლასების მიხედვით.

გაკვეთილების ცხრილი

9.1. სასწავლო მეცადინეობა ჩატარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით.

9.2.გაკვეთილების ცხრილი მოიცავს თითოეული კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს, კვირის რომელ დღეს, დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება, შესაბამისი პედაგოგის მითითებით.

9.3. საგაკვეთილო ცხრილი გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას.

იხ. 2016-20167 სასწავლო წლის სკოლის გაკვეთილების ცხრილი -- დანართი # 2
იხ.2016-2017სასწავლო წლის საათობრივი ბადე- დანართი #3

თავი10.

საგანმანათლებლო რესურსები

10.1. სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.

10.2 სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ლაბორატორიები, რუკები, პლაკატები და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

10.3.სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებებს, დამხმარე ლიტერატურას, მხატვრულ ლიტერატურას. სკოლის წიგნადი ფონდი მოიცავს 3400 დასახელების წიგნს. ისინი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის.

4.სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ქსეროქსით.

5. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომლებითაც სარგებლობენ აღნიშნული საგნის მასწავლებელები გაკვეთილებზე და მათი ჩამონათვალი შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხიდ განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის # 572. 09.08.2011 წლის ბრძანებით "ზოგადსაგანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულ ქიმია,ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებში აუცილებელი ხლსაწყოების რაოდენობას.

თავი 11.
საგანმანათლებლო რესურსების ტიპები

11.1. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;

ბ) დამხმარე ლიტერატურა;

გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);

იხილეთ სასარგებლო რესურსების ჩამონათვალი. დანართი #4

თავი 12
სახელმძღვანელოების შერჩევა

სახელმძღვანელოების შერჩევა ხდება შემდეგი პრინციპით:

12.1. სკოლაში სახელმძღვანელოებს ირჩევენ საგნობრივი კათედრები, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა სიიდან.

12.2. პედაგოგიური საბჭო, კლასების/საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოების ნუსხას.

12.3. შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო სკოლაში მოქმედებს არჩევიდან 5 წლის განმავლობაში.

12.4. სკოლის თითოეული კლასის ყველა პარალელში სწავლება მიმდინარეობს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.

12.5. სახელმძღვანელოს არჩევისას მასწავლებლებს შეუძლიათ გაეცნონ სკოლის ბიბლიოთეკაში

12. 6. შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები მშობლებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას, სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე.

12.7.სკოლის მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას, მხოლოდ დამხმარედ ,გამოიყენონ ის წიგნები და ნებისმიერი სასწავლო მასალა, რომელიც არ არის დასახელებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელეობის ნუსხაში.

იხილეთ 2016-2017 სასწავლო წელს სკოლის მიერ შერჩეული გრიფ მინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები.

(დანართი5)

თავი 13.
ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

13.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;

ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

13.2. ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას.

13.3. სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შეცვლას, კერძოდ:

ა) სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო;

ბ) საათობრივი ბადე;

გ) დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა;

დ) სასწავლო მასალა;

ე) სწავლების სტრატეგია;

ვ) ალტერნატიული შეფასების გამოყენება (ტესტირება, წერითი დავალება, ზეპირი დავალება და სხვა.) და სხვა.
13.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ნიშნავს მძიმე და/ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების რადიკალურ ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე სწავლების მრავალფეროვანი ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით.

თავი 14.
ინდივიდუალურისასწავლოგეგმა

14.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
14.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
14.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა (იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ინდივიდუალური საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია) ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.
14.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
14.5. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ასევე მეცადინეობა შესაძლებელია განხორციელდეს ფსიქოლოგის ჩართულობით და სხვა; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, ძიძა და სხვა) საჭიროება;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი.

14.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.
14.7. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის დეტალური შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი).
14.8. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
14.9. ისგ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები,.
14.10. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; სასურველია, ჯგუფს ხელმძღვანელობას გაუწიოს დამრიგებელმა ან სპეციალურმა მასწავლებელმა.
14.11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისგ ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.
14.12. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
14.13. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
14.14. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.).
14.15. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად უნდა მოამზადოს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიში, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

თავი 15.
სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

15.1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორითაც ხდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ

მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
15.2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამო ანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის მე-20 მუხლის შესაბამისად.
15.3. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
15.4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
15.5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალის ადაპტირება – უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

თავი 16.
სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

16.1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
16.2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
16.3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.
16.4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
16.5. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება.
16.6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული

თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ***(მოდელი)***

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლე	
სკოლა	
კლასი	
დაბადების თარიღი	
ასაკი	
მშობელი/მეურვე	
ტელეფონი	
მისამართი	
ისგ-ს შექმნის თარიღი	

მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი: ----------

შეხვედრის ტიპი	X (მონიშნეთ)	თარიღი
საწყისი შეხვედრა		
შეხვედრა საჭიროებით განსაზღვრული		
შეხვედრა I, II ბოლოს	I	
	II	
	III	
საბოლოო შეხვერდრა/შეფასება		

ისგ შეხვედრის თარიღი: ————

ისგ – ს შეხვედრის მონაწილეები

	მშობელი/მეურვე	**სახელი-გვარი**	
1			
2			
	სკოლის გუნდი	**სახელი-გვარი**	**საგანი**
1	დამრიგებელი		
2	მასწავლებელი		
3	მასწავლებელი		
4	მასწავლებელი		
5	მასწავლებელი		
6	ფსიქოლოგი		
7			
8			
	მულტიდისციპლინური გუნდი	**სახელი-გვარი**	
1	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი		
2	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი		

3	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი	
	მშობელი/მეურვე	**სახელი-გვარი**

მოსწავლის ისგ-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი:

1		
2		
	სკოლის გუნდი	**სახელი-გვარი**
1	დამრიგებელი	
2	მასწავლებელი	
3	მასწავლებელი	
4	მასწავლებელი	
5	მასწავლებელი	
6	ფსიქოლოგი	
7		
8		
	მულტიდისციპლინური გუნდი	**სახელი-გვარი**
1	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი	
2	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი	
3	მულტიდისციპლინური გუნდის წევრი	

მშობლის პრიორიტეტი და ინტერესი

. . . . . .

. . . . . .

მასწავლებლის სურვილი

. . . . . .

შეფასების შედეგები

სფერო		ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
აკადემიური უნარები:	წერა		
	კითხვა		
	თხრობა		
	ანგარიში		
შემეცნებითი უნარები (ყურადღება, მეხსიერება, აღქმა)			
ემოციური სფერო			

კომუნიკაციის უნარი ენა/მეტყველება		
მსხვილი მოტორული უნარები		
ნატიფი მოტორული უნარები		
ქცევა/ყოფაქცევა		
ფუნქციური უნარ-ჩვევები		
საგანმანათლებლო გარემოს	რესურსი	ბარიერი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გრძელვადიანი მიზანი/ები:

	მოკლევადიანი მიზანი	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა[1]

გრძელვადიანი მიზანი:

მოკლევადიანი მიზანი/ები:

	მიზნის შესაბამისი აქტივობები	მასალა	სად სრულდება აქტივობა (კლასი, რესურს ოთახი)	მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი (მშობელი, პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი და სხვა.)	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
1					
2					
3					
4					
5					

[2]ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი

განმხორიელებელი: . . . . . .

მიზანი:

მოკლევადიანი მიზნები		(თვე)				
1						
2						
3						
4						
5						

თავი 17.

შეფასების პრინციპები. სასკოლო შეფასების მიზანი

შპს ,,მზეკაბანი-2007-ის“ შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ,სწავლ ის ხარისხის გაკონტროლებას.
ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის
პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - სწავლის შედეგს.

თავი 18. მოსწავლის შეფასების სისტემა

18.1მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. მისი მიზანია სწავლა–სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს. შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას.

18.2მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

18.3მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

18.4მოსწავლემ წინასწარ უნდაიცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

18.5 განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

18.6განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

18.7განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა:

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენაეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზედაბალი
3	
2	დაბალი
1	

თავი 19.
აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

19.1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.

19.2. I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

სკოლაში განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება:

19.3 ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი 4 დონე: ფლობს სრულად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს.

19.4მოკლევადიანი სიტყვიერი და წერილობითი კომენტარი გამოყენებულია მოსწავლე თასწავლაში წარმატების მიღწევაში დახმარებისათვის, სირთულეების დაძლევის გზ ებისჩვენებასა და რჩევებისათვის საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისა თვის,ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;

19.5 პორტფოლიო შეიცავს მოსწავლის მიერ შესრულებულმ საშინაო და საკლასო

ნამუშევრებს. პორტფოლიოს დანიშნულებაა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეა ფასონ

ნამუშევრები დინამიკაში, მოხდა თუ არა პროგრესი, გააცნობიერონ თუ რა შეცდომები დაუშვა მოსწავლემ და როგორ შეიძლება მომავალში მათი თავიდან აცილება, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში;

19.6 შემაჯამებელი წერილობითი კომენტარი გამოყენებულია სემესტრის და წლის ბოლოს

მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებაში მოსწავლეთა შესაბამისობის ჩვენებისათვის.

19.7 V-XII კლასებში მოსწავლე ფასედება ათქულიანი სისტემით.

19.8 მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.

19.9 V-XII საგანში „სპორტი“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა

19.10 საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/ არ ჩაეთვალა.

მუხლი 20.

საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

20.1 სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;

ბ) საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

20.2 შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

20.3 საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

იხილეთ საშინაო და საკლსო დავალებების შეფასების რუბრიკები დანართი #6

იხილეთ I-IVკლასებში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დანართი #7

იხილეთ სხვადასხვა აქტივობების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დანართი#8

შემაჯამებელი დავალება

20.4. შემაჯამებელი დავალების (მუშაობის) კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

20.5შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, თხზულება, პროექტის პრეზენტაცია, მოხსენება-რეფერატი, სახვითი ნამუშევარი (მაგ. ნახატი, კოლაჟი, ნაძერწი და სხვ.), კონცერტი, წარმოდგენა და სხვ. დავალების ფორმის შერჩევისას გასათვალისწინებელია საგნის სპეციფიკა.

20.6 შემაჯამებელი დავალებისკომპონენტშიგამოიყენებაგანმსაზღვრელიშეფასება

20.7სკოლაში თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

20.8.აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

20.9 შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი

სამუშაოს ანალიზში უნდა ჩანდეს:

ა)შემაჯამებელი სამუშაოს ტიპი,მიზანი.ჩატარების დრო და ხანგრძლივობა.

ბ) სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;

გ) კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;

დ) ქულების მატრიცა;

ე)სტანდარტით განსაზღვრული შედეგების ანალიზი და პრობლემის მიზეზები შედეგების მიხედვით

ვ)კლასის/მოსწავლისსაჭიროებებზემასწავლებელთა რეაგირებისფორმები (დამატებითისაათები, იდივიდუალური მუშაობა,მოსწავლეთა ურთიერთდახმარება, დამატებითირესურსებითაღჭურვა, მშობლებთანმუშაობადაა.შ);

20.10 მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში.

20.11შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის,შემაჯამებელი დავალების შესრულების ხარისხის კონტროლს კოორდინირებას გაუწევს ხარისხის მენეჯერი და კათედრის თავმჯდომარეები.

იხილეთ შემაჯამებელი დავალებების მიმდინარე და სემესტრული ანალიზის ფორმა- დანართი # 9

შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა

20.12 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, იგი თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელ შემაჯამებელ დავალებათა სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

20.13თითოეული შემაჯამებელი დავალება ფასდება კონკრეტული ნიშნით.

20.14მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება).

იხილეთ „შემაჯამებელი დავალების“ სავალდებულო მინიმალური რაოდენობის განრიგი- დანართი #10

შემაჯამებელი დავალების აღდგენა

20.15თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებულ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება.

20.16აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო შესრულდება ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, რომელსაც ადგენს სკოლის დირექცია პედაგოგთან ერთად და უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებასა და საჯაროობას.აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაოს ვადა განისაზღვრება მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან უახლოეს ორ კვირაში, არასაგაკვეთილო დროს 14.30 საათის შემდეგ

20.17 მონიტორინგსა და ზედამხედველობას აღსადგენ შემაჯამებელ სამუშაოებზე V-XII კლასებში ახორციელებს ხარისხის მენეჯერი.

20.18 მასწავლებლები უზრუნველყოფენ იმავე თემატიკის (სტანდარტის შესაბამისად) და დატვირთვის შესაბამისად დავალების შედგენას აღსადგენი შემაჯამებელი დავალებისათვის.
20.19 აღდგენილ შემაჯამებელ დავალებას ასწორებს მასწავლებელი წერის ჩატარებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა და უზრუნველყოფს საკლასო ჟურნალში მის შეტანას.
.

მუხლი 21.
ქულების გამოანგარიშების წესი

21.1 საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.
21.2 საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
გ) სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზრვრული შეფასება რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).
21.3 საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:
ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

მუხლი 22.
კლასისა და საფეხურის დაძლევა

22.1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა საგნებში

:,,სპორტი“ და,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება” ეს აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
22.2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
22.3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
22.4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

მუხლი 23.

გაცდენები

23.1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის, აბიტურის საათის და ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები.
23.1[1]. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.
23.2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
23.2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას.
23.3. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
23.4. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

მუხლი 24.

გამოცდის ტიპები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
ა) სემესტრული გამოცდა;

ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
გ) საშემოდგომო გამოცდა;
დ) ექსტერნატის გამოცდა;
ე) სკოლის გამოსაშვები გამოცდა

სემესტრული გამოცდა

24.1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამ შემთხვევაში, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.
24.2. მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
24.3. სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
ქულა

24.4. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

წლიური გამოცდა

24.5. წლიური გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლამ განსაზღვრა შემდეგნაირად:

- წლიური გამოცდა VII-XIკლასებში ინიშნება სასწავლო წლის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
- იმ საგნების სია, რომელშიც ინიშნება წლიური გამოცდა თითოეულ კლასში, დგინდება სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგიური საბჭოს მიერ და ეცნობება მოსწავლეებს სწავლის დაწყებისთანავე.
- გამოცდების დაწყებამდე ორი კვირით ადრე , დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგნების საგამოცდო კომისია;
- კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, თითოეული კლასისათვის გამოცდისათვის არჩეული საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ, რომელიც გაიკვრება თვალსაჩინო ადგილას, აცნობოს მოსწავლეებს და მშობელს;
- გამოცდების ტიპი- ტესტირება ,რომელიც მოიცავს შინაარსიან, კონტექსტუალიზებულ, კომპლექსურ დავალებებს.

- გამოცდების შემდეგ დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით დაუშვებელია წლიურ გამოცდაზ ე ცალსახაპასუხიანი ტესტების შეთავაზება.

წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი იყოფა სამზე.

24.6 საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა სკოლამ განსაზღვრა შემდეგნაირად :

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში.

- საშემოდგომო გამოცდა ინიშნება მეორე
სემესტრის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა
  და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგანი/საგნების საგამოცდო კომისია:
- კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარით, საგნის პედაგოგით და კიდევ ერთი წევრით;
- დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის და გამოცდის ტიპის
შესახებ აცნობოს მშობელს;
- ბარიერგადაულახავ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულოა მინიმალური ზღვრის გადასალახავად;
- საშემოდგომო გამოცდამდე ორი კვირის მანძილზე (ყოველდღიურად) სკოლა გაუწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი;
- გამოცდის ტიპი-წერითი ან ზეპირი.
- დგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისია სრული შემადგენლობით.

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე(საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

24.7 ექსტერნატისგამოცდა

- ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.
- ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ამ ეროვნული სასწავლო გეგმის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

24.8 სკოლის გამოსაშვები გამოცდა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება.
- სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 25.

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები

25.1ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი განსაზღვრება კანონმდებლობით.

25.2ზოგადი /კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.

25.3. წარჩინებულიმოსწავლეებისწახალისებისფორმები:

- საჯაროდ მადლობის გამოცხადება;
- ბრძანებით მადლობის გამოცხადება;
- მშობლის სამუშაო ადგილზე მადლობის წერილის გაგზავნა;
- დიპლომი ან ქების სიგელი;
- ფასიანი საჩუქრი;
- ფულადი ჯილდო ან პრემია;
- საგაზეთო სტატია;
- სწავლის ქირის გადასახადის გაუქმება ან შემცირება

მუხლი 26.

სადამრიგებლო პროგრამა

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს გახანგრძლივებული დღის სწავლებით 9.30 საათიდან 17.00 საათამდე. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. აქედან გამომდინარე დამრიგებლის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება, რის გამოც კლასს ენიშნება დამრიგებელი.

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

ბ) დამრიგებლის მოვალეობებია:

1) დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- ✓ დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ✓ ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;

- ✓ მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;
- ✓ სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობები;

2) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

2.ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

2.ბ) გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;

2.გ) მეწარმეობის უნარების განვითარება;

2.დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

2.ე) უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;

2.ვ) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

2.ზ) თვალსაწიერის გაფართოება.

დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) არანაკლებ კვირაში ერთხელ დამრიგებელი ატარებს კითხვის საათს, რომელიც ორიენტირებულია წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;

ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;

გ) ანალიზის უნარის განვითარებით;

დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;

ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;

ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

ბ[2]) საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები.

ბ[3]) X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.

გ) დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობელემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
ზ) V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.).
თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად.
4. დამრიგებლის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:
ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;
დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

ე) დამრიგებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებული და/ან რეკომენდებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები

ვ) დამრიგებლის საათის თემატიკა გაწერილია, განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის მიერ, მასალები განთავსებულია დამრიგებლის პორტფოლიოში;

ზ) დამრიგებელი სკოლაში ცხადდება 15 წუთით ადრე გაკვეთილების დაწყებამდე და თავისუფალია სადამრიგებლო კლასის გაკვეთილების დასრულების შემდეგ;

28.2. პირველ-მეოთხე კლასებში დამრიგებელს სადამრიგებლო კლასთან გახანგრძლივებულ ჯგუფში მუშაობა შეუძლია სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით.

28.3 .დამრიგებელი, რომელიც ჯეროვნად არ შეასრულებს მოვალეობას, ჩამოერთმევა კლასი.

მუხლი 27.
სადამრიგებლო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობები:

27.1 სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსიები;

27.2 მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები;

27.3 შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები;

27.4 შიდასასკოლო კონკურსების, შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა;

27.5 სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

27.6 სასკოლო კლუბებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, სკოლებს შორის გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობა.

ზემოთაღნიშნულ აქტივობებში მშობელთაჩართვა.

იხილეთ 2016-2017სასწავლო წლის სადამრიგებლო გეგმები კლასების მიხედვით-დანართი #12 (ფოლდერი #2)

მუხლი 28.
სადამრიგებლო კლასის მოწყობის პროცედურა

28.1. დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას მინიმუმ ერთი კვირით ადრე მოაწყოს თავისი სადამრიგებლო კლასი.

მუხლი 29.
საგნობრივი კათედრები

29.1. სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი კათედრა:

- ქართული ენა- ლიტერატურისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა

(ქართული ენა და ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,მუსიკა ,სპორტი)

- მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა

(მათემატიკა, ისტ)

- უცხო ენების კათედრა

(ინგლისური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა)

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

(ბუნებისმეტყველება,საბუნებისმეტყველო მეცნიერებები,ქიმია,ფიზიკა,ბიოლოგია)

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა

29.2. კათედრების ფუნქციებია:
ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
გ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
დ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
ე) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
ვ) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
ზ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.
თ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.
29.3. კათედრების მოწყობა:
ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით.
ბ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.
29.4. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:
ა) კათედრის შეხვედრებისორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
ბ) სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
გ) პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.
29.5. კათედრა იკრიბება სემესტრშიორჯერ. კათედრის პირველი შეკრება ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.
სასკოლო გეგმას თან ერთვის კათედრების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების აღწერა - ანალიზის ფორმები , სასკოლო წერების და წლიური გამოცდების ჩატარების .
იხილეთ საგნობრივი კათედრის დებულება დანართი#13
იხილეთ საგნობრივი კათედრების 2016-2017სასწავლო წლის სამუშაო გეგმები - დანართი# 14 (ფოლდერი #1)

მუხლი 30.
ძირითადი მეთოდური ორიენტირები

სკოლაში სწავლება-სწავლის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება. მათ შორის ჯანსაღი უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების, ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტებისა და მსჯელობა-დასაბუთების, შეფასების, წარდგინება-პრეზენტაციის და სხვა. შესაბამისად მასწავლებელი უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათ შორის: აზროვნების განვითარებაზე დაფუძნებული სწავლება პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენის გზით სწავლება, თანამშრომლობის გზით სწავლება, პრაქტიკული სწავლება, გამოცდილებაზე დამყარებული სწავლება და სხვა.

ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლაზე და განვითარებაზე.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაცემად სკოლა ზრუნავს მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მყარი და დინამიური ცოდნის მისაცემად სკოლა უზრუნველყოფს გაღრმავებულ სწავლებას, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას.მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლე ბის პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ასევე, მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში.მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს, რა მ იზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. ააუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

სკოლა უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს. მასწავლებლის მაგალითი გადამწყვეტია სკოლა-გიმნაზიაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად.

მუხლი 31.
შიდასასკოლო მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები

სასწავლო პროცესზე ადმინისტრაციის კონტროლის მიმართულებები:

1) მონიტორინგი;
2) შეფასება;

მონიტორინგი – არის სპეციფიკური ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესწავლას და მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას.

შეფასება – მონიტორინგის შედეგზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი.

საგნის მასწავლებლის მუშაობის მონიტორინგის მიმართულება:

საგნის მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასება;

31.1საგნის მასწავლებლის პორტფოლიო

1. საგნის თემატურ-კალენდარული გეგმა;
2. დამატებითი რესურსებისა და ინტერნეტგვერდების ბანკი;
3. სხვადასხვა სტრატეგიებით დაგეგმილი გაკვეთილების ნიმუშები (5 გაკვეთილი);
4. ჩატარებული სამოდელო გაკვეთილების ვიდეო ან ფოტომასალა;
5. მოსწავლეთა მონაცემთა ბაზა, რომელშიც ასახული იქნება მიმდინარე შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი.
6. კათედრაზე პედაგოგის მონაწილეობით განხილული საკითხის ანგარიში;
7. ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
8. შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები

9. პროექტების ბანკი (ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსია);დამადასტურებელი დოკუმენტაცია

10. მოსწავლეთა ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობისა და წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

11. პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია (განვითარების გეგმა,ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, ტრენინგებში,
სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული ნაშრომები);

12. სასწავლო წლის შემაჯამებელი თვითანგარიში, ანგარიში და რეკომენდაციები საგნის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით (წარდგენილი კათედრაზე).

კათედრის თავმჯდომარის საქმიანობის მონიტორინგის მიმართულება

კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიოს შეფასება

კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიო

1. კათედრის სხდომის ოქმი, რომელზეც არჩეულ იქნა კათედრის გამგე;
2. კათედრის დებულება;
3. კათედრის წევრთა შესახებ პერსონალური ინფორმაცია (მისამართი, ელ-ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი, პროფესიული განვითარების ეტაპები);
4. კათედრის წევრთა კვირეული დატვირთვა;
5. თემატურ-კალენდარულიგეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. კათედრის საქმიანობის წლიური სტრტეგიული გეგმა;
7. სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა განსაზღვრის დამადასტურებელი დოკუმენტი;
8. შეფასების რუბრიკები;
9. კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკი;
10. კათედრის შეხვედრებზე განხილული საკითხების მოკლე აღწერა, შესაბამისი გადაწყვეტილება და განხორციელების ანგარიში;
11. შიდასასკოლო ღონისძიებათა კალენდარი და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია;
12. განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
13. მოსწავლეთა შედეგების დემონსტრირების სისტემის ღონისძიებების კალენდარი (პრეზენტაციები, ოლოიმპიადები,კონკურსები) და ამსახველი დოკუმენტაცია;
14. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების (სამოდელო გაკვეთილები, გაკვეთილებზე დასწრება, გამოცდილების გაზიარება და სხვა) ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია.

დამრიგებლის საქმიანობის მონიტორინგის მიმართულება

დამრიგებლის პორტფოლიოს შეფასება

დამრიგებლის პორტფოლიო

1. კლასის მოსწავლეთა მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის საცხოვრებელი მისამართის, მშობელთა საქმიანობის ადგილის, საკონტაქტო ტელეფონის, მშობლის ან უფლებამოსილი პირის ელ–ფოსტის, მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროებისა და ინტერესის შესახებ;
2. კლასის პედაგოგთა მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პედაგოგის საცხოვრებელი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ელ–ფოსტის შესახებ;

3.მშობელთათვის შვილის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობელემებისა თუ წარმატებების შესახებ ინდივიდუალურად მიწოდებული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

4. მშობლებთან შეხვედრებისას განხილული საკითხების ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები, ჩანაწერები);
5. დამრიგებლის სამუშაო გეგმა და შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია;
6. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დაგვიანებისა და დასწრების აღრიცხვიანობისა და რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

7.დისციპლინის დარღვევისა და შესაბამისი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;

8.მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;

9. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის კითხვარები და შესაბამისი რეაგირების ამსახველი მასალა;

10. მოსწავლის დახასიათების ნიმუში;
11.ჩატარებული აქტივობების ამსახველი დოკუნენტაცია;
12. წლიური ანგარიში და თვითანგარიში .

პედაგოგიური საბჭოს მუშაობის მონიტორინგის მიმართულება:

პედსაბჭოს წლიური სამუშაო გეგმა;
პედსაბჭოს სხდომის ოქმები.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევების მონიტორინგის მიმართულებები:

- გაკვეთილებზე დაკვირვება;
- მასწავლებელზე დაკვირვება;
- შემაჯამებელი დავალებების საგნის სტანდარტთან შესაბამისობა;
- სასკოლო წერები
- წლიური გამოცდები

იხილეთ ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა. დანართი #15
იხილეთ პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა.დანართი#16